# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №11

**2023 წლის 16 იანვარი**

**ქ. თბილისი**

**„შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის №81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის №81 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/02/2017, 010320050.10.003.019790) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

**1. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„**მუხლი 1**. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის $18^1$ მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქცია“.“.

**2. დადგენილებით დამტკიცებული „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის“:**

**ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 1. რეგულირების საგანი**

„შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქცია“ (შემდგომში – ინსტრუქცია) შემუშავებულია „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს (შემდგომში – ბიურო) მიერ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის (შემდგომში – დეკლარაცია) მონიტორინგის განხორციელების წესსა და პროცედურას.“;

**ბ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. დეკლარაციის მონიტორინგის განხორციელების საფუძველია „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით ბიუროსთვის მინიჭებული უფლებამოსილება – უზრუნველყოს დეკლარაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი.“;

**გ) მე-3 მუხლის „$გ^1$“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„$გ^1$) **თანამდებობის პირი/დეკლარანტი** – „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი, აგრეთვე პირი, რომლის გათავისუფლების მომენტიდან არ გასულა ერთ წელზე მეტი;

დ) **ოჯახის წევრი** – „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოჯახის წევრი;

ე) **ახლო ნათესავი** – „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის

„ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნათესავი;“;

**დ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) დამოუკიდებელი კომისიის (შემდგომში – კომისია) მიერ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის $18^1$ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით თანამდებობის პირების შერჩევა;“;

**ე) მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) რომელიც არ არის „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირის ოჯახის წევრი ან/და ახლო ნათესავი;“;

**ვ) მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. სისტემა მოიცავს ინფორმაციას ყველა საჯარო დაწესებულების დასახელებისა და იმ პირების შესახებ, რომლებიც, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენენ თანამდებობების პირებს.“;

**ზ) მე-20 მუხლის მე-5 – მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დეკლარაცია უარყოფითად ფასდება ბიუროს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარუდგენლობის ან დეკლარაციაში არასრული ან/და არასწორი მონაცემების შეტანის ფაქტის გამოვლენისას (გარდა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის $18^1$ მუხლის $13^2$ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), აგრეთვე „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონთან შეუსაბამო მონაცემის არსებობის გამოვლენისას.

$5^1$. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის არსებობის შესახებ ბიურო გადაწყვეტილებას იღებს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის $18^1$ მუხლის $13^1$ პუნქტის საფუძველზე.

$5^2$. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში დარღვევის არარსებობის შესახებ ბიურო გადაწყვეტილებას იღებს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის $18^1$ მუხლის $13^2$ პუნქტის საფუძველზე.

6. დეკლარაციის მონიტორინგის შედეგად ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გარდა ამ ინსტრუქციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, თანამდებობის პირი ჯარიმდება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რის შესახებაც ბიუროს უფროსი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – განკარგულებას.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**